

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის ხანძარი, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მწერა მიიღება კანტორაში. შარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროга“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულ რუსულს, სომხურს და სხვ. ენებში. ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—1 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

ცალკე ხომერი ღირს შუხრათი

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

3 მანა, 3 ივლისს. „პოლიტიკური ძორესპონდენცია გეაცნობებს: „მსმალეთის მმართველობამ მისწერა ბანიალუკის ოსმალთს ლუბერნატორს, გამოუცხადოს ბოსნიის ხალხს, რომ ავსტრიის ჯარები მშვიდობიანს და მეგობრულს დამოკიდებულებას დაიჭერენ მცხოვრებლებთან. ლუბერნატორმა გამოუცხადა ეს განკარგულება ბოსნიის ხალხს და თან სთხოვა, რომ რაც შეიძლება მეგობრულად დაუხვდნენ ავსტრიის ჯარებსა. ხალხი დაშვიდდა. ბოსნიის აჯანყებულებმა გადაწყვიტეს აგრეთვე, რომ ძორგრესის გარდაწყვეტილებას დაემორჩილონ.

3 მანა, 3 ივლისს. ჩერნოგორიელებს სკუტარის მხრით ეწინიანთ მსმალთების თავს-დასხმისა და ამის გამო ალბანიის ნაპირებს ამაგრებენ. ჩერნოგორიის

მთავარი ნიკოლაი მალე ნაკშიში მიდის.

კატერბურლი, 5 ივლისს. ბუშინ მოვიდა აქ ბერლინიდან გრაფი შუვლოვი.

ბერლინი, 5 ივლისს. დღეს თ. ბორჩაკოვის დაბადების დღეა, ოთხმოცი წელიწადი შეუსრულდა. იმპერატორის პოლიკის მუზიკამ იმის პატივის-საცემად რუსის საელჩოსთან კონცერტი გამართეს.

3 მანა, 4 ივლისს. „პოლიტიკურს კორესპონდენციაში“ იწერებინ: ინგლისის კონსულის შუამავლობით ძანდიელებსა და მსმალთებს შუა მშვიდობიანობა დამყარდა.

მესსალიაში მსმალთს ჯარებმა 33 ადგილას გადაუწვეს ყანები, დაწვეს აგრეთვე სოფელი სოჭადესი და ამაგრებენ ქალაქს ლემოკოსს.

მ. მალეთმა გადაწყვიდა, რომ ენერგიულად ეწინააღმდეგოს საბერძნეთის მოთხოვნილებას.

კატერბურლის ბირჟა, 5 ივლისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის	—	97—50
მეორესი	—	96—25
მესამესი	—	96—
მეოთხესი	—	96—
აღმოსავლეთის	—	95—50
რქრო, 1/2 იმპერიალი	—	7—75
თფილ. თავადაზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	—	—
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:		მან. კაპ.
პირველი სესხის	—	239—
მეორე სესხის	—	238—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	—	25—62	პენსი
ამსტერდამი	—	129—	„ ცენტი
ჰამბურგი	—	217—	„ ჰჭენიგი
პარიჟი	—	267—50	სანტიმი

ფელტონი

მგზავრის უმნიშვნელო

მასხოვს, წინეთ, როცა პატარა ვიყავი, როცა საქართველოს წერილმა, დაბალმა შეილებმა რკინის გზის სახელი არც კი იცოდნენ, — იმერეთიდან რომ ადამიანი თფილისში, შოთში, ან სხვაგან შორს წასასვლელად განმზადებულყო, თავისიანები ჯერ ერთ პირს გამოიტარებდნენ, სამუდამოთ გამოეთხოვებოდნენ და ისე გაისტუმრებდნენ ხოლმე.

მაშინ ისე ადვილად როდი ჰხდებოდა ამ სიშორეზედ მგზავრობას, როგორც ახლა „ცრუ და მანე“, მდიდარი და გაჭირვებული, თავადი და გლეხი, დედაკაცი და ბავშვი უშიშრად დატანტალებენ თფილისიდან შოთისაკენ და უკუ-ღმა. იმ დროს ერთი იმერელი შოთში წაიდა და მაშინ დაჩქარებული „შოთელა“ დღესაც სალანძღავ სიტყვათ აქვს დარჩობილი ამ კაცს.

ძანეთიდან თფილისისაკენ გამგზავრებაც ახლა იმ წინანდელ დროს და, სწორე გითხრა, იმავე შიშსა და გაჭირვებას მაგონებს, რომელსაც მაშინ გრძნობდა მგზავრობაში დასაველეთის საქართველოს ხალხი.

რაც უნდა მგზავრობაში გამოცდილი და გამოჭხრაკებული, ჯიბე სქელი მგზავრი იყვეს, გული თანტკალს დაუწყებს, როცა იქიდან წამოსვლას გაიფლებს გულში, თუ წარმოიდგენს ყოველივე იმ გაჭირვებას, რომელიც იმას მოეღის გზაში.

ძანეთიდან მგზავრი უნდა წამოვიდეს ან ფურცელთ, ან ფოჩით. (რა თქმა უნდა, რომ მე საზოგადოთ არ ვამბობ ამას: ზოგი, — ბევრია ამისთანა „ზოგი“ — ფეხთაც კადრულობს და არაფრათ მიანია ამაზედ მეტი მგზავრობაც; მაგრამ ეს ის „ზოგია, რომელიც ამაზედ მომეტებული გაჭირვებითაც არის გარემოცული ყოველთვის და ყოველ ნაბიჯზედ). შურგონით წამოსვლა „ვაია“. იმის მძიმეთ ტარებას, ქვეზედ და ცუდ გზებზედ ჯახა-ჯუხს, ულაგო-ალაგას დადგომას, — როგორც მაგ. ისეთ ღუქანში, სადაც

შინაური ორ-ფეხებცა და ოთხ-ფეხების „ფინთისაგან“ ცხვირი ეგრე მოუშორებია კაცს და შიგ ფეხებს ურევს, — მეფურგუნის დუდლუნსა და ლანძღვაგინებას, თუ მგზავრს რაიმე შეცოდება შეეძენა, — ადამიანი მოთმინებიდან გამოჰყავს და ბედს აწყველინებს. ამას დაუმატოთ, რომ ზოგჯერ ფურგუნში სამი-ოთხი ისეთი ამხაშაგების წრეში ხარ, რომლებს პირიდან უწმინდურობისა, გარყვნილობისა, ლანძღვა-გინებისა და ამათხედ უარესობის მეტს ვერას გაიგონებთ.

მაგრამ ეს კიდე ცოტა: დიდი სიფრთხილე და გამოცდილი მეფურგუნე უნდა იყვეს, რომ მშვიდობით მიახწიოს დანიშნულ ადგილს. თელეთობას ერთი ფურგუნი გადაბრუნებულა და საწყალი სომეხი-მგზავრი დღესაც ძვალ-რბილ გაერთებულთ ვეცს ცხვრის თბილ-თბილ ტყავებში; მეორე, დედაკაცი ცხვირ-პირ დაღწეილი და დარუმბებული დაბრუნდა თელეთიდან; ესეც ფურგუნის წყალობით; ერთი დედაბერი და პატარა გოგო ფურგუნმა ძირს იგდო და რუმბებმა ლამის გასრისეს საცოდავები; ერთი მკლავ და

საქართველო

დღიური

* * ბუშინდელმა წვიმამ ჯოტა არ იყოს გააკოცლა ძალაქა და იმის არე-მარყ აღვილები. ბუშინ ისეთი სიგრილე იყო ძალაქში, რომ სალამოს მაინც შეიძლებოდა გარეთ გამოსვლა და სულის მობრუნება. მაგრამ დღეს, როგორც ვტყობა, კიდევ ძველებურ სულის შემსუთ-ველ სიციხის დაჭირას აპირებს.

* * მართა ახლად არზრუმად ჩამო-სულმა პირმა გეთხრა ჩვენ, სხვათა შო-რის, რომ არზრუმში არის ერთი უბანი, რომელიც თითქმის მარტო ქართველებით არი, დასახლებულია; სულ ეს ოჯახამ-დან იქნებანო; ქართულს წმინდად, როგორც ნამდვილი ქართველები, ისე ლაპარაკობენო. მომეტეული ჩაწილი არზრუმის ქართველებისა ვაჭრობაში არიან თურმე გართულნი და ამას გარდა აბანოები აქეთო.

* * ჩვენ შევეტყეთ, რომ თფილისის ზოგიერთ სომხებს განზრახვა აქვთ თურ-მე, რომ ბათუმში წავიდნენ და მიწები შეიძინან; გაუგიათ, რომ ახლა, როდესაც ბათუმი და იმის მაზრა რუსეთს დარჩა, ზოგიერთი მცხოვრებლები, მ. შ. შაღინები, მსამალეთში გადასახლებას მოინდომებენ, თავიანთ ადგილ-მამულს იათად გაჰყი-დიანო და ამნაირად შევიძენთ მამულსაო.

რადგან ამ საგნის თაობაზე ამ მოკლე ხანში ჩვენ უფრო დაწვრილებით ვაპი-რებთ ჩვენს გახეთში მოლაპარაკებას,

ამის გამო ახლა მხოლოდამ ამბავის გამ-ქლავებით ვკაყოფილდებით.

* * სოხუმიდამ „თფილისის მოამბეში“ იწერებინან, რომ 150 ოჯახი ბერძენებისა, რომელნიც, სოხუმის ალების შემდეგ, სურამში, ზუგდიდში და ქუთაისში გაიქ-ცნენ, ამჟამად ისევ უკან ბრუნდებიანო.

ამავე გახეთის სიტყვით, ტრაპიზონის სომხებს გამოუკზენიათ სოხუმისაკენ თავის დანდობილი კაცები, რომელთაც უნდა დაათვალიერონ ეს ქალაქი და მაზრა და, თუ მოეწონათ, გადმოსახლე-ბას აპირებდნო...

* * მართა ჩვენმა ნაცნობმა გვიახრა, რომ ამ დღეებში იმას უნახავს ერთი ძველი ქართული წიგნი, სახელად „პი-ათი, ანუ ვარსკლავთ-მრიცხველობა“ რომელიც 1721 წელს არის თფილისში დაბეჭდილიო. როგორც სათაურიდან სჩანს, ეს წიგნი მახტანგ მეფისაგან არის ნათარგმნი და გამოცემულიო.

* * „თფილისის მოამბის“ უკანას-კნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა:

„30 ივნისს, შუადღეზე, თფილისის ლუბერნიის პრავლენიაში მივიდნენ დე-პუტატები და წევრნი იმ კომისიისა, რომელსაც მილიციონერებს კენჭს-ყრა ჰქონდათ მინდობილი; ამ თ ახლდათ რამდენიმე ასი ხალხი. თფილისის ვიცე-გუბერნატორმა ჰკითხა კომისიას მიზე-ზი—თუ ამდენი ხანი რატომ არ არის ძალაქში მილიციონერების კენჭის-ყრა გათავებულიო. კომისიამ უპასუხა ამაზე, რომ ზოგიერთი პირები, რომელნიც

კენჭში ამოვიდნენ, სადღაც ემსუფუძვნო და ამის გამო სრული კონტრაქტ-ციონერებისა—138 კაცი—ჯერ არ არის შესრულებულიო.

„ვიცე-გუბერნატორმა აუხსნა ხალხს—თუ რა მიმე პასუხის-გებაში ჩავარდება კანონით ის, ვინც განზრახავს ამ მო-ვალეობის თავიდან აცდენას და თან დაუნიშნა ვადა—10 ივლისი, რომ ამ დღის-თვის წარმოადგინონ სრული რიცხვი მილიციონერებისა.

„ამ დროს რამდენიმე პირმა ხალხი-დამ განაცხადეს საჩივარი კომისიაზე და დეპუტატებზე, რომ ღარიბები და ოჯა-ხის მარტო-ხელი ხალხი ჩაიყვანეს კენჭ-ში და შეძლებულები კი გაათავისუფ-ლესო. ვიცე-გუბერნატორმა უთხრა ხალხს, რომ ვისც რაიმე უკმაყოფილება ანუ საჩივარი აქვს, ახლა შემოიტანონ, დასახელონ—ვინ, რა დროს და რა უკანონოა და ბოროტ-მოქმედება ჩაი-დინ; ის დანიშნავს გამოძიებასა და დამნაშ-ვე სასტიკად დაისჯებაო.“

„დროშის“ კორამსონდენცია

მეჯვრის-ხევი, 30 ივნისს. მრავალ თქვენ მკითხველთაგანს წაკითხული და გაგონილი ექნება, რასაც ზოგიერთი მდებალი თანამდებობის ჩინოვნიკები წრეს გასულათ უსამართლოებას და უწყობებას ახდენდნენ ყველა მაზრებში, როდესაც ჰქონდათ მათ მინდობილი მილიციონერების აღმორჩევა.

მაგი არა ზოგადდნენ ღარიბს, მიწას-თან გასწორებულ და მარტო-მარტო-

მეორე ფეს-მოტეხილი წავიდნენ და სხ.

მა თურგუნით. შოჩტით მოგზაურობა უიარ. თუ სახელმწიფო პადაროჟნა იგ-დე როგორმე ხელში, ჰო, არა გიშავს რა; მაგრამ უბედურება კერძო პადაროჟ-ნის მქონეს! უკანასკნელი ექვსი დღე დარჩები გზაში.

წარმოიდგინეთ სრულიად ტიტველ, უსოფლო მინდორზედ ფოჩტის ცარიე-ლი კედლები და შიგ ტუსალივით გულ-ხელ-დაკრეფილი რამოდენიმე დღე ჯდო-მა. რომელი სატუსალო არ სჯობია ამას! ზგონია, აი ახლა შევიბამენ ცხენებს, აი ახლა მოგთხოვენ პადაროჟნას, იქცეები აქეთ-იქით, ხან ზედამხედველის და სტა-როსტის სადგომში, ხან თავლაში, ხან გზებში, იმტრევე თითებს და იკვნიტ ტურებს მეტის უკმაყოფილებით; ხან, უჯავრდები, ხან ელრიჯები ფოჩტის გუ-შაგებს; —მაგრამ სად არი, ვინა ბრძან-დები!

— ლოშდინიატუ! ლოშდინიატუ! ზესმის სტაროსტის-გან. ზედამხედველი ჩაწოლილა რბილ ლოგინში და თქვენ

ვაჭირება ფეხებზედ ჰკიდია. ასე გადის მთელი დღე.

აი ბოლოს, დიდის დამადლებით, ზარ-მაცათ აბმენ შენთვის ცხენებს. მღებრმა შევაა როგორც იყო ცალი ცხენი და დგას იჭიმება, ამთქნარებს, იზღაზნება უწნოთ. ბუღზედ რალაც ტვირთი მო-გეშვა, დაღრემილი და ყურებ ჩამოყრი-ლი გამოცოცხლდი, ყურები სტკვიტე, სიმარღე მოგემატა. აი კიდე ცოტა ხანი და დაუგდებ ყურს ზარის დაუცხრომელ წკრიალს..

მაგრამ, ღმერთო ჩემო! აჰა, მოადვა სტანციას აქედამ-იქედამ ორო-ორი ეკიპა-ჟები, სახელმწიფო პადაროჟნის მქონე მგზავრებით.

— სკარეი ლოშადე! შიეო ზაპრიავატ! მოისმის ღრაალი.

— შიას, ბარინ! ლატოვო, გაშპოდინ! შენს მტერს მოსწყდეს წელი შენთვის განმზადებულ ეკიპაში „ბარინი“ ჩააბრ-ძანეს, „გაშპოდინს“ მეორე მოართვეს და შენ ცოტა ხანს კიდე უღაპე ნერწყვი...

მართი სიტყვით, არა მგონია სხვაგან სადმე უფვედეს ამდენი უწყობება და

უსამართლობა, რომ ღენსაც ამ გზის სტან-ციებში შეხვდებით.

შანთი გზები, საძაგელი გზები! მითქო ღმერთსაც და კაცსაც დავიწყებია ძახე-თიო! მითქო ეს მხარე მეტია ქვეყნ-აზე-დო! ისე არაფერი უზრუნავსთ გზების-ათვის, როგორც შე და შენ, მკითხველო, ჩინერის კეთილ-დღეობისთვის!

ღმერთო შემცოდე, იორს აქეთ, აქ-იქ, პლასი გაუყვანიათ და ცოტაც უმუ-შავნიათ, მაგრამ რა! პლანი უზომო სიერცეშიაც გაიყვანება გონებით, მაგრამ რა იქნება, თუკი ზედ არ იქნება სელანი! მულანლოზედ ღმერთმა დუშმანიც ნუ გაატაროს წვიმის დროს! მუხლზედ ლა-ფი! მაუფალი ლაფი! წებოსაფე ლაცი! ნათლიის სახელი მულანლოსი უნდა იყვეს „მოგლალო“; სოლო პირველი არის მეტი, ხადაკეთებული სახელი...

და მართლაც რომ მოგვალა ამ გზამ: ცხენებმა რომ ეკიპაჟი ეღარ დაძრეს, იძულებული ვიყავით ფეხებით გვეზილა ერთი ვერსი გზა...

სართიქალა? აი საქრისტიანო! აი ხალ-



ხელ გლენ-კაცს. იღებდნენ მდიდარ გლენ-კაცებისაგან უხე სასყიდელს, იმ გლენებიდამ, რომლებსაც აუცილებელათ ჯერი იყო წასვლისა და იმათ ადგილას საცოდავნი მშვირები, შიშველ-ტიტველი და სხვა გარემოებით შეწყუბებული, რომლებსაც არ იყო ჯერი, მიჰყავდათ.

ღღეს, ჯერ მთავრობისა და მერე გახეთების წყალობით, შორის მახრაში მოსპობილია ეს უღმერთოება. მოსპობილია მით, რომ მრავალს გაუკვს ვერაგობა და ამისათვის პირ-მურ-წასმულებს აღარას ანდობენ ამის მსგავსს და ეგონებ, რომ ჯერ-ჯერობითაც კირგათ მიღის საქმე.

იენისის 4-ს იყო ახალი მილიციონერების და იმათ კანდიდატების აღმორჩევა; მაგრამ სულ სხვა მიმართულებით; არ ემსგავსებოდა ბორის უფლის უპრავლენიის პრინციპის თანამემწის უ. მიხეილ ტერ-პკოფოვის აღმორჩევასა (იხილეთ ამ წლის „ღროების“ №№ 22 და 39.)

აი რა რიგათ იყო წელს მილიციონერების და იმათ კანდიდატების აღმორჩევა: ბორის უფლის უფროსის დროებით თანამდებობის აღმასრულებელმა თ. რევან პრისთავმა გაჰყო ეს უფლის სამ რაიონად ანუ ნაწილად ასრე, რომ ერთ რაიონში თვითონ წავიდა, მეორეში მიროვი პასრედნიკის თანამდებობის ღვას რულებელი თ. მანო პრისთავი და მესამეშიაც მათალი თ. ალიქანდრე პრისთავი.

მე არ მინახამა ჩემის თვალით და არც დავსწრებივარ ნაჩაღნიკის და მარშლის განკარგულებას, თუ რა წესით შეასრულეს კენჭის-ყრა, თუმც კი სარწმუნო პირებიდგან გავიგე, რომ ამათაც კანონიერათ მოუხდენიათ კენჭის-ყრა და არაფერი ბოროტება არა გარეულა-

რა. მხოლოდ დავსწარ და ჩემის თვალითაც ვნახე—რან წესითაც უ. პოსრედნიკმა მოახდინა კენჭის-ყრა. აი რა-გორ:

პასრედნიკს ხელა ჯერი წასვლისა მე-ჯერიხევისკენ. შოველა ამის რაიონის ხალხი იკრიბებოდა ხსენებულ მეჯერისხევიში, რადგანაც საშუალო პუნქტიც ის იყო. რაგორც ხევიტაც მოგახსენეთ, კენჭის-ყრა იენისის 4-ს დღით 8 საათზე დაიწყო და გათავდა ამ რაიონში მეორე ღღეს ნასადილევის 9 საათზე. ღიან რომ აქ სუფევდა კენჭის-ყრა და არა რაიმე წარმოსდგებოდა ბოროტმაქმედების, მოქრთამობის მხრივ. ერთი სიტყვით, ყველა იქ მყოფი, ყველა იქ დამსწრე, ყველა მაყურებელი და თვით ის პრინცი, რომელსაც ერგოთ მილიციონერობა და კანდიდატობა, მადლობელნი გამობრუნდნენ, მხოლოდ ეს კი იყო, რომ ახალსელ სოფლის სუდიას ერგო გამოსვლა მილიციონერად და იმისა ღრიალმა და საცოდაობამ აქაურობა გააჯერა. ამ სუდიის ღრიალი მღგომარეობდა იმაში, რომ თვითონ მოხუცებული იყო და ერთი შვილის მეტი არა ებადა-რათურმე, რომლისაგანაც მოელოდა სიბერის ღროს შენახვას. უ. პასრედნიკმა გამოიკითხა და რომ გაიგო, უჯეროთ შეეყვანათ კენჭში, უბრძანა, რომ არხა მომართვი და რადგანც უჯეროთ ყოფილხარ შერეული კენჭში, კამისას წარუდგენ და უთუოდ განგათავისუფლებო. ხსენებულ სუდიას იქვე გაუჩნდა მადლიანი პირი, დაუწერა თხოვნა და მიართვა პასრედნიკს.

ამ ორი კვირის წინათ თ. ძალტანტინე პრისთავის მოგრაივი დასტრეს ოსებმა. ბამოძიება გამოჩენილ ბორის პრისტავს უფ. ტერ-პკოფოვს აქეს მინდობილი; ოსებმა ბლომა ერბო და ყველი მიუტა-

ნესო, ამბობენ, ოლონდ-ჩვენი საქმე კარგათ წაიყვანეო და ასეც მოახდინაო. მისა ამბობენ, ხსენებული მოუწრაივი აპირებსო, რომ შემოთ-მოხსენებული „ღროების“ №№ 22 და 39 ჩადოს თხოვნაში და მიართოს ნაჩაღნიკს, რომ მე არ ვენდობი მაგისთანა პირს იძიოს ჩემი საქმეო.

მკითხველებს ეხსომებათ შემოთ, მოხსენებული „ღროების“ ნომრებში რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ ე. ტერ-პკოფოვს აეღო მილიციონერის ზეპარია მეჯოშვილის განთავისუფლებაზე 45 მანეთი. ამ ამბავმა მიადწივა ნაჩაღნიკამდის და ამას უყუთ გაიგებდით „ღროებისავე“ 30 ნომრიდამ, რომ ნაჩაღნიკმა გამოძიება დაიწინა და ნამდვილათ აღმოჩნდა გამოძიებაში, რომ ტერ-პკოფოვს აეღო 45 მანეთი. რასაკვირველია, ნაჩაღნიკს ეს საქმე უნდა გარდაეცა გამოძიებლისათვის და ყველას იმედიც აქეს, რომ ეს საქმე უნდა სწარმოებდეს გამოძიებელთან. მაგრამ, ამბობენ აქამდისინ ის გამოძიებელისათვის არ გადაუციაო.

ს. შ.

ოქის უეფეზ

ბაქლინის კონგრესისი

„პეტერბურლის უწყებებში“ მოყვანილია შემდეგი რეპეშა 28 იენისს ბერლინიდამ მიღებული:

„ინგლისმა მოითხოვა ოსმალეთისაგან აიპრის დათმობა მხოლოთ იმიტომ, რომ რუსეთს ბათუმი მიაქვსო. თუ რუსეთი ბათუმზე ხელს აიღებს, მაშინ აიპრსაც უკან დაუბრუნებთ ოსმალეთსაო.“

ნი, რომელიც ასხია სართიქალას! მაგრამ, შევეცადე, მომიტყეეთ, აქ ქართველთა სულიც ტრიალებს და მე მართო ნემსებზედ მოგახსენებთ.

აი მართლა ხალხი—ნემსები. მართი მიხიხედ-მოხიხედეთ, დააკვირდით, რა ლაზათიანათ სცხოვრობენ! როგორი სისუფთავე არე-მარესი, ქუჩისა, შენობისა, შიგმცხოვრებლებისა! ბრძელი, სწორი და განიერი ქუჩა, აქეთ-იქით რიგ-რიგზედ ჩამწრიებული სხვა-და-სხვა ხეები და ხეხილები, ბაღები, ბაღჩები, ვენახები! სამოთხეა რაღა! მშენიერი საყდარი შუა სოფელში; შკოლები სავაჟო და საქალბო!

აი მოსწავლე ქალ-ვაჟებს დაუჭერიათ სასწავლი ნიეთები და წყნარად, ჭკვიანად მიდიან ქუჩაში. სახლები ევროპიულ გემოზედ, დიდი ფანჯრებით; სტავენებით, ფარდებით; გარშემო რკინის მოაჯირით, ალაყაფის კარებით. მითაყულ სახლს საკუთარი ეზო, სიმრგვლიე შემოღობული, სუფთა, წმინდა. სახლებშიაც მომეტიებული სასუფთავე, სიფაქიხე. სკამები, ტებულები, კედლის სარკე, ხატები, წიგნები, ფათრეთები. „მაი საყვარელო!“

არ იფიქროთ, რომ ერთი, ან ორი მოსახლე სცხოვრობდეს ამ გვარად; თითქმის სულ ყველანი ერთნაირათ, შემოთ ნათქვამ ნაირათ სცხოვრობენ, თითქო ერთ ყალიბში ჩამოსხმულანო!..

ღმერთო ჩემო! რა ურწმუნო, უნდო, მიუკარებელი და გაუჭანლბი ვართ ქართველები! მათარი, ურია, სოჰეხი, რუსი; კინტო, ქურდი, ავაზაკი, რჩებიან აქ ღამის გასათევად და ნემსები, თითქო თავის ახლობელი ნათესავეები იყვნენ, უცლიან სახლებს, სავსეს ყოველივე საოჯახო სამკაულებით. ზოგჯერ მამაკაცები შინაც არ არიან ხოლმე და დედაკაციები, გასათხოვარი ქალები გემსახურებიან, მოდიან შინთან, გელაპარაკებიან და დაწოლის დროს შენიოთაზის მესობელ ოთახში, უკარო, მარტო ფარდა ჩამოფარებულს ოთახში წვიებიან...

ახლა ქართველები შევადაროთ ამათ. მაგრამ რა შევადაროთ, როცა შედარებულია:

აი აქვე ქართველების უბანი: უშნო, უღალათო, მინგრეულ-მონგრეული; უწ-

მინდურება, სიბინძურე! ღორი, აკვანი, ხბო, ქათმები, ფქვილი, ლოგინი, ძროხა, კამეჩი, ავათმყოფო, დაბუდებული კრუხ-წიწილა, ტანისამოსი, ქურჭლები და სხ.,—სულ ერთმანერთშია არეული!

სახლები მიწური, თითქო ნადირთა ბუნაგიაო. აბა შეაძლიე ფული, ამაღამ შენს სახლებში უნდა დავრჩე-თქვა. თუ კაცი არ არის შინ, ხომ ვერავის ნახავ სალაპარაკოთ: დედაკაციები სოროში შეძვრებიან, თვალი რომ მოგკრან, რომ იმათკენ მიდისარ. ძაცები კიდე წადი დაიკარგე, შე ოხრის ტიელო! აქ რაა, პაპიდა-ჩემი ხარ თუ დედიდა-ჩემი, რომ დამეგ ავათევიო?!“ მოგაძახებენ..

სართიქალიდამ მთილისამდი კარგი გზებია, თუცა ბევრ ალაგას ხიდები ჩამტყრეულა, გზები მოზნაეებულა და კიდე დიდი სიფრთხილე გმართებსო.

თქოფ. ძანდელაი

(დასახრული შემდეგ №-ში)



ამ გვანთივე დაბეჭდილი ტელეგრაფმა გვაცნობებს, რომ ინგლისი იშუამდგომლებს მსმალეთთანაო, რომ შესალია და მპირი იმან საბერძნეთს დაუთმოსო.

ზაზეთის „პრესის“ ბერლინელი კორესპონდენტი იწერება, რომ გაათავებს თუ არა ბერლინის პონგრესი თავის სხდომებზე, მეროპის უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელი იმ წმსვე შეუდგებიან ცალკე კომისიების აპორჩევას, რომეთაც ბოლგარიაში და რუმელიაში ახალი წესები. ახალი გამგეობა უნდა დადგინონო. მსმალეთის ფინანსების გასაუმჯობესებელ საშუალებათა მოსაძებნელად აგრეთვე კიდევ სხვა კომისია იქნება დანიშნულიო.

უცხო ქვეყნის ზოგიერთი გავთები იწერებინ, რომ ბათუმი სრულ საკუთრებათ დარჩება რუსეთსაო. პონგრესს არ გადაუწყვეტიაო, რომ რუსეთმა ბათუმის ცინეები (?) უნდა დაანგრიოსო. რუსეთი ვალდებული იქნება მხოლოთ, რომ ბათუმი თავისუფალ, კომერციულ ნავსადგურად გარდააქციოს და სამხედრო ხომალდების დაყენება კი მხოლოთ დროებით შეუძლინ, როდსაც შავს ზღვაზე ღელვა იქნება.

„რუსეთის სტამბოლელს ელჩს თ. ლობანოვ-როსტოვსკოის გამოუცხადებია მსმალეთის მმართველობისთვის, რომ, თუშუა ჩვენ აქედამ ჯარების წაყენისათვის ვემზადებითო, მაგრამ, სანამ, მარნასა და შუმლას არ დაცლით, მანამ არც ჩვენ წავეყვანთ ჩვენს ჯარს სან-სტეფანოღამაო.

ბონიისა და ჰერცოგოვინის თაობაზე მსმალეთი და აესტრია ასე მორიგებულან ერთმანერთში, რომ ამ ორთავე სახელმწიფოს ჯარებმა ერთად უნდა დაიჭირონ ეს პროვინციები.

განცხადებანი

„ისქიდება თფილისში „ცენტრალ-ლუსს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

„სამყარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამყარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ ღუქნებში, № 2.

ზარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შეძღვევის აღრვისით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

დაიბეჭდა და ისქიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს—სასულიერო საწავლებელში, უფ. სანცივეთან

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო

ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად „თხუბ. თ. პლექსანდრე ჯამბაკურიან-მრბელიანისა.

გამოცემული ზ. ჰიჭინაძისაგან ფასი 30 კაპ პიტი

გამოვიდა და ისქიდება „სოლი ვიტირო, თუ ფული“

ქომედია ალ. ორთაუვისა

ისქიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ძუზმანაშვილთან, ქარელს—დავით მეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუნის უჭეტში, სურამს—ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ მჰანეზოვთან და სვ. ცერეცესთან შოთში—მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშვეთს—თ. ნიკ. ღიასამიდესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოცვთან და თვითონ ავტორთან.

გამოვიდა და ისქიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე- XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“ კ. მუსხისაგან.

ისქიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფასი ყველგან მესხი შაური.

მისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი**

ქეპრი შეუძლიან მიმპართოს ნ. ავალიდილის, (ქუთაში, მლისავეტინსკის ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კვერების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

რპ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	გაზანდა	მან კაპ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 4 ივლისს.		მრევის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	ქუთაისს, შოთს	1	შვე. თეო. ბანჯისა, ფთ.	170	სამთყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდგსას, მოსკოვს	2	მერი ფუთი	130	მ რ შ ა ბ ა თ ს: ქიუნარიანც—ხორურგი, ბარაღვიჩი—შინაგ. ავათმყ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურგს, შარშავას	2	ბაბა მრევისა, ფუთი	7	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.
სურამი	1 44		4 42	2 46	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	8	მ თ შ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგანი ავათმყოფ, ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.
ქვირილი	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტილი ბაბა ფუთი.	10	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი — თვალის და მბრტყი — კბილის.
რიონი	6 57		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატყული თუშური ფთ.	8 50	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვი — შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ფოფტა		— თარაქამისა ფთ.	6	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
ახ.სევეაკი	8 43		8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სპშ. მზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—ორშ. და პარასკ.		2	აბრეშუმი ნუხური სტ.	
შოთი	9 50		9 75	5 42			— მარაქამისა ფთ.	6	მ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგანი ავათმყოფ, ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.
შოთი	9 83						პბრეშუმი ნუხური სტ.	2	მ თ შ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგანი ავათმყოფ, ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.
ახ.-სევეაკი	10 14		1 18	- 66			ქონის სანთელი ფუთი.	9	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი — თვალის და მბრტყი — კბილის.
სამტრედია	11 5		2 61	14			სტარინის სანთელი, ფ.	13	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშვი — შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
რიონი	12 13		3 41	69			ხორცი ძროხისა, ლიტ.	90	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
ქვირილი	1 18	ლაშე	3 98	2 21			— ცხვრისა, ლიტრა	90	მ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			სპირტი, ვედრო	5 20	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			შაქარი, ბოც. ფუთი	7 6	მ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი — შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
ბორი	7 5	4 8	3 64	9			— ფენილი ფუთი	6	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4			ქავა გრგვალი, გირვ.	70	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			ზ თი ქუნჯუთისა ფუთ.	13	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.
							თამბაქო, საშულო ფუთი	8 50	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგანი ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუნარიანცი.